

**სამკომპონენტური ეპოქსიდური შემავსებელი ფილებს შორის ნაკერებისთვის / რეაქტიული წებოვანი შემადგენლობა R2 T PLITONIT COLORIT EASY FILL**



- ✓ გარე და შიდა სამუშაოებისთვის
- ✓ წასაგლესი ნაკერის სისქე 1-დან 10 მმ-მდე
- ✓ შესაფერისია აუზებისთვის
- ✓ შესაფერისია სისტემისთვის "თბილი იატაკი"

2 კგ

1 კგ



პროფესიონალად ყოფნა ადვილია

**მარტივია დასატანად და გამომოსარეცხად, სამუშაოების ფენომენტალური სიჩქარე ეპოქსიდურ შემავსებლებს შორის - წუთზე ნაკლები 1 მ<sup>2</sup>-ის მოსაპირკეთებლად**



ინსტრუქციის სხვა ენაზე ჩამოტვირთვა/  
Download the manual in another language  
kz | az | uz | tj | kg | tm | am | ge | mn

**გამოყენების სფერო**

დაფარვის სახეობები	იატაკი	კვლევი
კერამოგრანიტი	+	+
კერამიკული ფილა	+	+
კლინკერის ფილა	+	+
ბუნებრივი და ხელოვნური ქვა	+	+
მოზაიკა და გამჭვირვალე ფილა	+	+
ზედაპირის სახეობები	იატაკი	კვლევი
არადეფორმირებადი: ბეტონი და რკინაბეტონი (6 თვეზე მეტი ასაკის), უჯრედოვანი ბლოკები, აგური, ბათქაშები ცემენტის საფუძველზე და არადეფორმირებადი საფუძვლების სხვა სახეობები	+	+
დეფორმირებადი: თაბაშირ-მუყაოს ფილა, მარქანბოჭკოვანი ფილა, მინამაგნეზიტის ფილა	+	+
რთული: ფიბრო-ცემენტის ფილა, OSB	+	+
განსაკუთრებით რთული: "ფილა ფილაზე", დაფარული ძველი ტუტემდეგი საღებავებით	+	+
მუშაობის სფერო	იატაკი	კვლევი
ნორმალური ტენიანობის მქონე შენობა-ნაგებობები	+	+
მაღალი ტენიანობის მქონე შენობა-ნაგებობები	+	+
გარე სამუშაოები (ფასადი, ცოკოლი და სხვა)	+	+
სამრეწველო და საწარმოო შენობა-ნაგებობები	+	+
აუზები	+	+
თავსებადობა სისტემასთან "თბილი იატაკი" (წყლისა და ელექტრო)*	+	+

\* "თბილი იატაკის" სისტემასთან ერთად ფილების დაგების ტექნოლოგიის უფრო დეტალურად გაგნობა შეიძლება საიტზე plitonit.ru

**ტექნიკური მახასიათებლები**

ფერი	იხ. შეფუთვაზე
შემკვრელი	ეპოქსიდური ფისი
წასაგლესი ნაკერის რეკომენდებული სიგანე	1-10 მმ
თუ საჭიროა ნაკლები მასის ხსნარის მომზადება, უნდა დაიცვათ შემდეგი პროპორციები	
• კომპონენტი A	20 გ.
• კომპონენტი B	10 გ.
• კომპონენტი C (მშრალი)	100 გ.
გამოყენების ტემპერატურული რეჟიმი (მომდევნო 3 დღე-ღამის განმავლობაში)	+10°C-დან +25°C-მდე
ექსპლუატაციის ტემპერატურული რეჟიმი	-30°C-დან +70°C-მდე
ნარევის სიციფხისუნარიანობა გარემოს ტემპერატურაზე 20°C-დან 25°C-მდე.	არანაკლებ 90 წთ.
სიარულის შესაძლებლობა	14 საათი
იატაკის გათბობის ჩართვა, არაუადრეს	3 დღე-ღამის შემდეგ
ნაკერზე მექანიკური ზემოქმედება, არაუადრეს	3 დღე-ღამის შემდეგ
ნაკერის მედეგობა ქიმიური ზემოქმედების მიმართ, არაუადრეს	7 დღე-ღამის შემდეგ

**ზედაპირის მომზადება**

შემავსებლის სახით გამოყენება:
1 წასაგლესი ნაკერების ზედაპირი უნდა გაიწმინდოს ჭუჭყლისა და მტვრისგან, მოცილდეს აქვრცვლადი ფრაგმენტები.

1	გარე სამუშაოებისას ნაკერის ზედაპირი დაცული უნდა იყოს ატმოსფერული ნალექებისგან სამუშაოების შესრულების დროსა და მომდევნო 24 საათის განმავლობაში.
3	წასაგლესი ნაკერის სიღრმე უნდა იყოს არანაკლებ ფილის სისქის ნახევრისა.
4	ნაკერების წაგლესა უნდა მოხდეს წებოვანი ხსნარის ნარევის მწარმოებლის მიერ დადგენილ ვადებში. ფილებს შორის ნაკერების შემავსებლით ამოვსების დაწყებამდე ფილების წებო სრულად უნდა გამაგრდეს, ხოლო ფილებს შორის ნაკერები მთლიანად უნდა გაიწმინდოს გამზარი წებოს ნარჩენებისგან.

წებოს სახით გამოყენება	
1	მოსაპირკეთებელი ზედაპირი უნდა იყოს სწორი, მყარი, გაწმენდილი მტვრისგან, ჭუჭყისგან, ცხიმისგან და ა.შ. ქვიშა-ცემენტის ზედაპირები უნდა იყოს დაგებიდან არანაკლებ 28 დღე-ღამის ასაკის.

**ხსნარის ნარევის მომზადება**  
ნარევის კომპონენტები დაფასობულია საჭირო პროპორციით ისე, რომ სრული შერევისას მიიღოთ შემავსებლის მასა საერთო წონით 1 ან 2 კგ - შეფუთვის სახის მიხედვით.

1	იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ნაკლები მასის ხსნარის მომზადება, უნდა დაიცვათ შემდეგი პროპორციები: 100 გრამი მშრალი კომპონენტი C-სთვის საჭიროა 20 გრამი კომპონენტი A და 10 გრამი კომპონენტი B.
2	დოზირებისთვის რეკომენდირებულია სასწორის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო სიზუსტეს.
3	კომპონენტების შერევის თანმიმდევრობას არ აქვს მნიშვნელობა.
4	მცირე პორციების (დაახლოებით, 1 კგ ხსნარი) შერევა შესაძლებელია ხელით ფითხის გამოყენებით. დიდი მოცულობის ხსნარის შერევისას რეკომენდირებულია დაბალბრუნვითი (არაუმეტეს 400 ბრ/წთ) ელექტრო ინსტრუმენტის გამოყენება**.

\*\* ყურადღება! კომპონენტების უფრო მაღალი სიჩქარით შერევა იწვევს შემადგენლობის გახურებას და მისი სიციფხისუნარიანობის შემცირებას.

**სამუშაოების ჩატარების წესი**

1	პროდუქტის გაყინვის შემთხვევაში მისი გამოყენება დასაშვებია არაუადრეს 24 საათისა +10°C-დან +25°C-მდე ოთახის ტემპერატურაზე დაყვანების შემდეგ. უფრო ადრე გაღობის მიზნით გახურება დაუშვებელია.
2	ნაკერების ამოვსებამდე ფილების ზედაპირი უნდა გაიწმინდოს სველი ღრუბლით.
3	შუა წასაგლესი ნარევი უნდა წაუსვას ფილას რეზინის ფითხით ან სახეხელათი, გადაანაწილოთ ნაკერებთან შედარებით დიაგონალური მოძრაობებით და გამკვრივით ფილებს შორის ნაკერების სრულად ამოვსებამდე.
4	ფილებს შორის ნაკერების გაწმენდა: წასმისთანავე გაწმინდეთ ზედაპირი სველი ღრუბლით და შემდეგ - კარგად გაწურული ღრუბლით ფილების ზედაპირიდან შემავსებლის მთლიანად მოშორებამდე. საჭიროა გასაწმენდი წყალი ხშირად გამოცვალა, რათა ის იყოს სუფთა. გასაწმენდად რეკომენდირებულია თბილი წყლის გამოყენება.
5	ფილებიდან ეპოქსიდური შემავსებლის მოცილება: ფილებზე შემავსებლის ნარჩენების არსებობის შემთხვევაში ნაკერების წაგლესიდან მეორე დღეს მათი მოცილება შესაძლებელია PLITONIT ეპოქსიდური ნადების საწმენდის გამოყენებით. ნარჩენების უფრო გვიან ეტაპზე მოშორება გაცილებით რთული იქნება.

